# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

კვირას, 1974 წლის 16 ივნისს, გაიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

16 ივნისს მოსკოვში, კავშირების სახლში, გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზეც მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის პ. ფედოსეევის ინფორმაცია საბჭოთა ქვეყანაში კენჭისყრის მიმდინარეობის შესახებ.

არჩევნები საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე ადგილობრივი დროით.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიღებული მონაცემებით, დღის 12 საათისთვის ხმა მისცა ამომრჩეველთა 85,59 პროცენტმა, ხოლო საღამოს 6 საათისთვის — 99,34 პროცენტმა.

საღამოს 6 საათისთვის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის სფს რესპუბლიკაში — ამომრჩეველთა 99,02 პროცენტმა, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 99,85 პროცენტმა, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 99,63 პროცენტმა, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 99,85 პროცენტმა, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 99,99 პროცენტმა, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 99,32 პროცენტმა, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 99,31 პროცენტმა, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 99,49 პროცენტმა, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 99,73 პროცენტმა, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 99,28 პროცენტმა, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 99,74 პროცენტმა, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 99,01 პროცენტმა, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 99,85 პროცენტმა, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 98,78 პროცენტმა, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 99,69 პროცენტმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყველგან მიმდინარეობდა ამომრჩეველთა მაღალი პოლიტიკური აქტივობისა და ორგანიზებულობის ვითარებაში, გადაიქცა საბჭოთა დემოკრატიის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 119 (5149)

1974 წ. 18 ივნისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## დაწინაურდა ხუგაშვილი

ტირასპოლი, 16 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი.

II ტურში თავი ისახელეს ქართველმა ოსტატებმა. თ. ხუგაშვილმა (შავები) საუცხოოდ გაითამაშა უფიმცევ — უიტელკის დაცვითი სისტემა მოლდაველი ოსტატის ბ. მოსიონჟიკის წინააღმდეგ და მატერიალური უპირატესობაც მოიპოვა. 35-ე სვლაზე მოსიონჟიკმა თავი დამარცხებულად ცნო.

მ. ჩიბურდანიძემ ა. კოროსენესთან (ვილნიუსი) პარტიაში ინდური დაცვა გამოიყენა და თანაბარ პოზიციას მიაღწია, მერე ხელთ იგდო ინიციატივა და უპირატესობას დაეუფლა. ფიგურის წაგების შემდეგ 37-ე სვლაზე ლიტველი მოჭადრაკე დანებდა.

ნ. დრელმა (ლენინგრადი) მოუგო ვ. როჟლაპას (რიგა), ლ. გოლდმანმა (ტაშკენტი) — საერთაშორისო ოსტატ კ. ზვორიკინას, ტ. კოსტინამ (ორივე—მინსკი)—ტ. ფომინას (ტალინი).

III ტურში მხოლოდ ორი შეხვედრა დამთავრდა. ჩიბურდანიძემ (თეთრები) კარო-კანის დაცვაში, რაც დრელმა აირჩია, საუცხოოდ გამოიყენა მეტოქის სადებიუტო შეცდომა და მძაფრად შეუტია ცენტრში დარჩენილ შავ მეფეს. 30-ე სვლაზე ლენინგრადელი მოჭადრაკე წაგებას შეურიგდა.

კოსტინამ დაამარცხა კოროსენე.

გადადებულ პარტიაში ხუგაშვილს ალმაათელ ოსტატ ა. მუსლიმოვასთან პოზიციური უპირატესობა ჰქონდა.

დღეს გადადებული პარტიები დამთავრდა. ხუგაშვილმა მუსლიმოვას დაცვას ხარვეზები მოუნახა და ეტლით მე-7 ჰორიზონტალზე შეიჭრა. მატერიალური ზარალის გამო 54-ე სვლაზე მუსლიმოვამ ფარ-ხმალი დაყარა.

ფომინამ მოუგო ნ. ჩერნოვასა (ლენინგრადი) და ნ. ალაბაბიანს (სტეპანაკერტი). ყაიმით დამთავრდა პარტიები: ს. იაკოვლევა (ალმა-ათა) — ჩერნოვა, მუსლიმოვა — იაკოვლევა, ი. ბერზინია (რიგა) — მოსიონჟიკი, ზვორიკინა — ხ. კრუსიაუკი (ტალინი).

3 ტურის შემდეგ თ. ხუგაშვილს 3 ქულა აქვს, მ. ჩიბურდანიძესა და ტ. კოსტინას — 2,5-2,5, ს. იაკოვლევასა და ტ. ფომინას — 2-2.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

## [illegible]-74

● სევასტოპოლი, 14 ივნისი. აქ დამთავრდა ასუჯრიან შაშში შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატი. I ადგილი დაიკავა მოსკოვის სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა, ოსტატმა ა. ჩულკოვმა — 9,5 ქულა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასული, ასევე მოსკოვის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი, დიდოსტატი ნ. აბაციევი. III ადგილზეა ოსტატი ბ. კუზნეცოვი (ლვოვის სამხედრო ოლქი). სამივე პრიზიორმა სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალის საგზურები მოიპოვა.

● საპორო, 16 ივნისი. სსრ კავშირის კლუბების ნაკრების ფრენბურთელმა ქალებმა 1972 წლის „თეთრი ოლიმპიადის" მასპინძელ ქალაქში დაწყებული ოთხი გუნდის ტურნირის პირველ დღეს დაამარცხეს მექსიკის გუნდი — 3:0 (15:0, 15:4, 15:8). მეორე წყვილი შეადგინეს იაპონიისა და პერუს გუნდებმა. გაიმარჯვეს იაპონელებმა — 3:0 (15:4, 16:14, 15:5).

● რაცებურგი, 16 ივნისი. აკადემიური ნიჩბოსნობის საბჭოთა ოსტატებმა გფრ-ის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო რეგატაში, რომელშიც 13 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ, „შვიდი შესაძლებლიდან" ოთხი გამარჯვება მოიპოვეს. ლენინგრადელმა გ. კორშიკოვმა დიდი უპირატესობით მოიგო ერთადგილიანებით შეჯიბრება. ამავე კლასში V ადგილზე იყო მოსკოველი ა. ტიმოშინინი (ის და კორშიკოვი ოლიმპიური ჩემპიონები არიან ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით შეჯიბრებაში). საბჭოთა ნიჩბოსნებმა გაიმარჯვეს, აგრეთვე, ორადგილიანი მესაჭიანი, ოთხადგილიანი მესაჭიანი და უმესაჭო ნავებით ასპარეზობაში.

● პრაღა, 16 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ევროპის „ზამთრის" ჩემპიონმა ჰ. ფიბინგეროვამ (ჩეხოსლოვაკია) ბირთვი 21,18 მეტრზე კრა. ფიბინგეროვა ერთადერთია მსოფლიოში (მსოფლიო რეკორდსმენისა და ოლიმპიური ჩემპიონის ნ. ჩიჟოვას შემდეგ), რომელმაც 21 მეტრის ზღვარი გადალახა.

● ათენი, 16 ივნისი. სტადიონ „კარაისკაკისზე" გამართულ შეჯიბრებაში რუმინელმა მძლეოსანმა ქალმა ა. მენისმა ბადრო 63,40 მეტრზე ტყორცნა (წლევანდელ სეზონში უკეთესი შედეგი მხოლოდ ფ. მელნიკს აქვს ნაჩვენები). 800 მეტრზე ვაჟთა რბენაში ევროპაში სეზონის საუკეთესო შედეგი მოიპოვა ლ. სუშანმა (იუგოსლავია) — 1.46,4.

● ვინძორი, 16 ივნისი. ინგლისის ამ ქალაქში იაპონელმა სტაიერმა ა. უსამიმ მოიგო ტრადიციული საერთაშორისო მარათონი, როცა 42 კმ და 195 მ 2 საათში, 15 წუთსა და 16 წამში გაირბინა.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### გმირის ხსოვნის პატივსაცემად

საბჭოთა კავშირის გმირ ვ. სკოპენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილ მრავალდღიან ველორბოლაში, რომელიც პოლონეთისა და სსრ კავშირის გზებზე ჩატარდა, გაიმარჯვა ხარკოვის ველოქარხნის ზეინკალმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. ჩერევკომ. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ცსკა-ს სპორტსმენებს ხვდათ.

პოლონეთისა და უკრაინის ქალაქებისა თუ სოფლების მცხოვრებნი ეს უკვე მეთვრამეტედ ხვდებოდნენ გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების მონაწილეებს. სკოპენკო 1944 წელს დაიღუპა ფაშისტი დამპყრობლებისგან პოლონეთის ქალაქ სანდომირის გათავისუფლების დროს. აქ მისი საფლავი მუდამ ცოცხალი ყვავილებითაა შემკული. გმირის საფლავზე ყვავილები მიიტანეს წლევანდელი შეჯიბრების მონაწილეებმაც — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმაც.

რბოლამ, რომლის დისტანციაც 979 კილომეტრს უდრიდა, 7 ივნისს აიღო სტარტი პოლონეთის ქალაქ კელციში და 14 ივნისს დამთავრდა მის ძმადნაფიც ქალაქ ვინიცაში. შეჯიბრების მონაწილეებმა გაიარეს სანდომირი, პშემისლი, ლვოვი, ლუცკი, როვნო, ჟიტომირი.

ვინიცა.

### კოსმონავტის სახელობისა...

კიროვი, 16 ივნისი. მოსკოვის ოლქის ტანმოვარჯიშეთა გუნდს გადაეცა ცნობილი მფრინავ-კოსმონავტის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, ქალაქ კიროვის საპატიო მოქალაქის ვ. ვოლკოვის სახელობის თასი. სპორტულ პავილიონ „როდინაში" გამართულ ბრძოლაში გამარჯვებულებმა 572,74 ქულა მოაგროვეს. მათ 3,56 ქულით ჩამორჩნენ II ადგილზე გასული მოსკოველები. III ადგილზე არიან უკრაინის სპორტსმენები.

ქალთა გუნდებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა უკრაინის კოლექტივი — 378,83 ქულა. შემდეგ მოდიან მოსკოველები და იჟევსკელები.

პირად ჩათვლაში I ადგილი გაიყვეს მოსკოველებმა, საკავშირო პროფსაბჭოს ჩემპიონმა ა. კოზევმა და ვ. სელიფანოვმა (110,6 ქულა თითოეულს). ქალთა შორის პირველობდა მოსკოველი ტ. ვოლკოვა — 73,3 ქულა.

გამარჯვებულებს პრიზები გადასცა კოსმონავტის მეუღლემ ლ. ვოლკოვამ.

ზ. ზიკოვი.
(საკდესის კორ.).

## მოსკოვი ღირსეული კანდიდატია

„მოსკოვის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებამ და მისი სპორტული ნაგებობების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ 1980 წლის ოლიმპიური თამაშები საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში შეიძლება სათანადო დონეზე ჩატარდეს", — თქვა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (აიპს-ი) პრეზიდენტმა ფ. ტეილორმა. იგი აიპს-ის გენერალურ მდივან ბ. ნაიდუსთან ერთად ხელმძღვანელობდა უცხოელ სპორტულ ჟურნალისტთა ჯგუფს, რომელიც 5-15 ივნისს საბჭოთა ქვეყანაში იყო სტუმრად საკავშირო სპორტკომიტეტისა და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით.

სტუმრები იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, კიევსა და თბილისში. გამგზავრების წინ ისინი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა, რომელმაც სტუმრებს პასუხი გასცა ბევრ შეკითხვაზე. ბუნებრივია, ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმო მოსკოვში 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საქტესი [illegible]

## ფინალისტებმა ბრძოლა დაიწყეს




ნიცაში დამთავრდა XXI საჭადრაკო ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირები. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს სსრ კავშირის, აშშ-ს, ინგლისის, იუგოსლავიის, უნგრეთის, ესპანეთის, გფრ-ის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, ფილიპინების, არგენტინის, ჰოლანდიის, უელსისა და ფინეთის გუნდებმა. ფინალური ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება.

სსრ კავშირის დიდოსტატებმა შესარჩევ ტურნირში თავიანთი ბოლო მატჩიც მოიგეს უელსის გუნდთან — 4:0.

ყველა აალაპარაკა ე. მეკინგმა. მან შოტლანდიის გუნდთან მატჩში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ისე, რომ წინასწარ შემცვლელი არ მოუთხოვია. მეკინგს, რა თქმა უნდა, წაგება ჩაეთვალა და ბრაზილიის გუნდიც დამარცხდა — 1,5:2,5.

ნიცაში მუშაობას იწყებს ფიდე-ს კონგრესი. მაროკოს ჭადრაკის ფედერაციამ მას მიმართა წინადადებით, რომ ფიდე-ს რიგებიდან გარიცხონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და როდეზია. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს სოციალისტურმა სახელმწიფოებმა და არაბეთის ქვეყნებმა.

როგორც ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივესადმი მიმართვაში მაროკოს ფედერაცია აღნიშნავს, მისი მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ „როდეზია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უგულებელყოფენ ადამიანთა უფლებების ელემენტარულ პრინციპებს, მკვიდრი მოსახლეობის მიმართ იყენებენ რასობრივი სეგრეგაციის ყველა ფორმას და ამას აკეთებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაგმობის მიუხედავად". ფედერაციას მიაჩნია, რომ ფიდე-მ უნდა გარიცხოს როდეზია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა თავისი რიგებიდან, როგორც ეს ბევრმა საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ გააკეთა.

გუშინწინ ფინალისტებმა დაიწყეს ბრძოლა. I ტურში სსრ კავშირის გუნდი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს. კარპოვმა (სსრ კავშირი) მოუგო მეტოქეთა გუნდის ლიდერს, დიდოსტატ ჰორტს. ტალი დაუზავდა პლახეტკას. გადაიდო პარტიები კორჩნოი — იანსა და სპასკი — ფილიპი.

სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: უნგრეთი — არგენტინა 1:0 (3), შვეცია — ჰოლანდია 1:1 (2), აშშ— გფრ 1:2 (1), რუმინეთი — ინგლისი 2:2, ფინეთი — უელსი 1,5:0,5 (2), ბულგარეთი — იუგოსლავია 2:2, ესპანეთი — ფილიპინები 1:1 (2).

ფინალში გუნდებს ეთვლებათ შესარჩევ ტურნირში ერთმანეთთან შეხვედრების ანგარიში. საბჭოთა გუნდს 4 ქულა აქვს, რაც უელსელებთან მოიპოვა. აშშ-ს, ჰოლანდიას და ბულგარეთს ფინალში 3-3 ქულა გადაქყვათ, უნგრეთს — 2,5, ფინეთს, იუგოსლავიას, გფრ-ს, შვეციას, ჩეხოსლოვაკიას და რუმინეთს — 2-2, ესპანეთს — 1,5, ინგლისს, ფილიპინებს და არგენტინას — 1-1, უელსს — 0.

ოლიმპიადის სხვა მონაწილე გუნდები ბრძოლას განაგრძობენ XVII და შემდეგი ადგილებისთვის.

### კოზლოვსკაია — ლევიტინა 4:4

კისლოვოდსკი, 16 ივნისი. ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მერვე პარტია დამთავრდა ლევიტინას გამარჯვებით. ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 4:4.

## „როლან გაროს" კორტებზე

პარიზი, 16 ივნისი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში — გრუნტიან კორტებზე მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობაში — მოსკოველმა ო. მოროზოვამ „მეორე ჩოგნის" სახელი მოიპოვა. ფინალში ჯან ამერიკელ კ. ევერტთან წააგო — 1:6, 2:6.

გამოვლინდნენ ფინალისტები ვაჟთა წყვილების თანრიგში. თბილისელმა ა. მეტრეველმა და შვედმა ბ. ბორგმა დამაჯერებლად დაიწყეს ნახევარფინალური მატჩი დ. კრილისთან (ავსტრალია) და ო. პერანთან (ახალი ზელანდია). როცა ანგარიში იყო 5:4, მათ 40:0 ჰქონდათ თავიანთს სასარგებლოდ, მაგრამ შემდეგ სუსტად დაიწყეს თამაში და წააგეს — 5:7, 0:6. საფრანგეთის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს ავსტრალიელი კრილის აგრესიულ თამაშს.

ფინალში გავიდნენ ამერიკელები ს. სმითი და ბ. ლუტცი, რომელთაც ნახევარფინალში დაამარცხეს მასპინძლები პ. ბიოსტა და დ. კონტე — 6:1, 3:6, 6:3.

პარიზის გაზეთები ნახევარფინალში ო. მოროზოვას მიერ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონ რ. გისკაფრის დამარცხების გამო წერენ: „სსრ კავშირის ჩემპიონი უჩვეულოდ მძლავრად თამაშობს ბადესთან. მისი ზუსტი, მიზანდასახული გადაცემები მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მეტოქეს, რომელმაც ასევე კარგად ჩაატარა შეხვედრა".

ეროვნული ბიბლიოთეკა




აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# სუსტები აღარ არიან

სულ ორიოდე წლის წინათ მცირელიტრაჟიანი ავტომანქანებით გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში პერიფერიების წარმომადგენლები იმდენად სუსტად გამოდიოდნენ, რომ დედაქალაქის სპორტსმენებს გამარჯვება არ უჭირდათ.

მაგრამ ამჟამად სულ სხვა სურათია: რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქსა და რაიონულ ცენტრში დოსააფის ორგანიზაციებმა სპორტის ამ სახეობას ხელი უფრო მოჰკიდეს. ზრუნვა განსაკუთრებით საგრძნობია ახლა — საქართველოს და სსრ კავშირის მომავალი სპარტაკიადებისთვის მზადების პერიოდში.

შედეგები თანდათან გამოჩნდა: ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის ტერიტორიაზე გამართულ საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაში უფროსებს შორის ჩემპიონები სწორედ პერიფერიების წარმომადგენლები გახდნენ.

მართალია, ამჯერად სტარტზე არ გამოსულა თბილისელი სპორტის ოსტატი რ. აკოფოვი, რომელიც საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობს. მისმა თანაგუნდელებმა — დოსააფის საქალაქო კომიტეტის სპორტსმენებმა კი ექვსიდან მხოლოდ ორი საპრიზო ადგილის მოპოვება მოახერხეს.

სარბიელზე გამოვიდნენ ქუთაისის, ცხაკაიას, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, თელავის, სამტრედიის, მახარაძის ავტო-მოტოკლუბების, გარდაბნის სპორტულ-ტექნიკური კლუბის, თბილისის დოსააფის კომიტეტისა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის, აგრეთვე, სომხეთის ავტო-მოტოკლუბის გუნდები.

175 კბ სმ მოცულობისძრავიანი კარტინგებით მოასპარეზეებს სამი ცდით 13-13 წრე უნდა შემოევლოთ. თბილისელ სპორტის ოსტატობის კანდიდატს ა. წერუაშვილს ორი ცდის ჯამში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა. იგი მესამე ცდაზეც ლიდერობდა, მაგრამ შუა დისტანციაზე მანქანა გაუფუჭდა, რბოლა ველარ დაამთავრა და საბოლოოდ III ადგილს დასჯერდა.

სწორედ მაშინ, როცა წერუაშვილმა წაიფორხილა, თ. ხარაძის „აქციებმა იმატა". მაგრამ მალე თანაგუნდელის ბედი მანაც გაიზიარა, თუმცა რბოლის დამთავრება შეძლო, რამაც საბოლოოდ II ადგილი მოუტანა.

საქართველოს ჩემპიონი გახდა ხაშურის ავტო-მოტოკლუბის გუნდის წევრი, მესამეთანრიგოსანი ვ. კოტელნიკოვი.

რესპუბლიკის მეორე ჩემპიონი 125-ანებით რბოლაში გამოვლინდა. ამ კლასის მანქანებისთვის შეჯიბრების პროგრამაში 11-11 წრე იყო. სამივე ცდაზე თანაბრად, უშეცდომოდ იარა 26 წლის გარდაბნელმა მწვრთნელმა, მეორეთანრიგოსანმა შ. ზაქაიძემ. II ადგილზეა პირველთანრიგოსანი ვ. სიტნიკი (სამტრედია), III — მეორეთანრიგოსანი ი. ძველაია (მახარაძე).

სამაგიეროდ, თბილისელებმა კარგად იასპარეზეს მოზარდთა ტურნირში. როგორც 50-იანებით, ისე 125-ანებით რბოლაში პირველობა შესაბამისად დაისაკუთრეს გ. კორკოტაშვილმა და რ. ვასაძემ. ორივე ჭაბუკი თბილისის 54-ე სკოლაში სწავლობს. VIII კლასის მოსწავლე კორკოტაშვილი (სპორტში მას მხოლოდ მოზარდთა II თანრიგი აქვს) ამჯერად შესანიშნავად იბრძოდა. მეორე და მესამე ცდებზე (ამ კლასის კარტინგებით მოასპარეზეთ 6-6 წრე უნდა გაევლოთ) მან მეტოქეთ უნებურად ფორაც მისცა — სტარტზე ძრავა ჩაუქრა და ჩამორჩა, მაგრამ საბოლოოდ უძლიერესის სახელი მაინც დაისაკუთრა.

მეათეკლასელი ვასაძე უკვე პირველთანრიგოსანი სპორტსმენია. იგი ოთხი წელია ვარჯიშობს და თანატოლთა რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებში რამდენიმეჯერ გამარჯვებაც მოიპოვა. კორკოტაშვილისა და ვასაძის სახით ძლიერი, გაბედული სპორტსმენები იზრდებიან.

50-ანებით შეჯიბრებაში II ადგილზეა რ. ოხიკიანი (ბათუმი), III — ა. ბოგომოლოვი (გარდაბანი), 125-ანებით — ნ. ჩვანოვი (რუსთავი) და ვ. ოგანესიანი (ერევანი).

პრიზიორებს ოდნავ ჩამორჩა თ. გოგინაშვილი (თბილისი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის ნაკრებმა. II ადგილზეა რუსთავის კოლექტივი, III — ბათუმის გუნდი.

გვფიქრობთ, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის სპორტის ამ სახეობაში უხეირო ნაკრები არ უნდა გვყავდეს, მაგრამ მაინც გვინდა გავაკეთოთ ერთი შენიშვნა, რომელიც მანქანების ტექნიკურ გამართულობას ეხება. სპარტაკიადაში ჩვენებს კარტინგებმა თუ ისე უღალატეს, როგორც ამ შეჯიბრებაში ლიდერებს მოუვიდათ, გარჯა ამაო იქნება. ამიტომ დოსააფის ორგანიზაციებმა აქედანვე უნდა იზრუნონ, რომ ნაკრების წევრები ხეირიანი, ბრძოლაში შემოწმებული მანქანებითა და ამ მანქანების საკმარისი რაოდენობის სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყონ.

**ო. ბელაშვილი.**

* * *



სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.




# შინისკენ ეზიდებიან... აუზს

### საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

...საცურაო აუზის ირგვლივ აღელვებული მწვრთნელები ტრიალებენ. დროდადრო ისინი კმაყოფილებით ან წყენით დაჰყურებენ ხელში ჩაბღუჯულ წამზომებს.

ქუთაისში გამართულმა შეჯიბრებამ მწვრთნელებს უხვად მისცა მასალა რესპუბლიკის ნორჩ მოცურავეთა ოსტატობაზე მსჯელობისთვის. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ეს მოცურავეები წარმოადგენენ საქართველოს ნაკრების მთავარ ბირთვს.

400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საქართველოს აბსოლუტური რეკორდები დაამყარა 13 წლის თბილისელმა გოგონამ ი. პოტაპოვამ, ი. ომელჩენკომ (აჭარა) კი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მოიპოვა ჭაბუკთა შორის საქართველოს რეკორდსმენის სახელი.

რა დგას ასპარეზობის მშრალი ტექნიკური შედეგების მიღმა, რომელთაც ამ წერილის ბოლოს გთავაზობთ?

პირველი, რაც თვალში გვეცემათ, ეს ცურვის ვიწრო „გეოგრაფიაა": შეჯიბრებაში სულ ექვსმა ქალაქმა შეძლო მონაწილეობა. შევახსენებთ, რომ საასპარეზოდ დაიშვებოდნენ მხოლოდ ისინი, ვინც წლეულს პირველი თანრიგის შედეგები აჩვენა. ასეთი აღმოჩნდა 45 კაცი თბილისიდან, 16 — აფხაზეთიდან, 15 — ქუთაისიდან, 6 — ჭიათურიდან, 2 — რუსთავიდან. შეჯიბრების მსვლელობისას კი გამოირკვა, რომ ბევრი (ძირითადად, პერიფერიებიდან) ვერ ამართლებდა პირველთანრიგოსნის სტატუსს. შეგვექმნა შთაბეჭდილება, თითქოს მათ პირველი თანრიგი წინასწარ მისცეს იმ გარაუდით, რომ ქუთაისში გაამართლებდნენ იმედს, მაგრამ ისინი კვლავ „ჩქვდარ სულებად" დარჩნენ.

მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის დებულებაში ნათქვამია, რომ მოცურავეთა გუნდში 30 კაცი უნდა იყოს. ამასთან, 1973-74 წლებში მათ უნდა გაამართლონ, სულ ცოტა, სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება. დღეისთვის საქართველოს მხოლოდ ათ მოცურავეს აქვს თავი ქუდში. ალმა-ათაში ნორჩი მოცურავეები ძლიერ ბრძოლას გაიჩაღებენ, მაგრამ რომელ კონკურენციაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩვენს ნაკრებში კიდევ ოცი ვაკანტური ადგილია? მართალია, ქუთაისში ასპარეზობისას ნორჩებს ცუდმა ამინდმა შეუშალა ხელი, მაგრამ შეჯიბრების იდეალურ პირობებშიც კი ნაკრებს სულ რამდენიმე წევრი თუ შეემატებოდა.

ჩვენი მოცურავეების უღიმღამო მაჩვენებლები მწვრთნელების დაბალი კვალიფიკაციის ბრალია. მათ არ შეუძლიათ შეჯიბრების ხოახლოებისას დატვირთვის სწორად განსაზღვრა.

ახლა ვნახოთ, რომელი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპორტსკოლებმა რამდენი კანდიდატი მისცეს ნაკრებს: „დინამო" — 16, „განთიადი" — 20, „შრომითი რეზერვები" — 2, „ლოკომოტივი" — 1, განათლების სამინისტრო — 5. სპორტსკოლებში არც ცურვის გეოგრაფიაა ფართო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყველგან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ცურვას. განათლების სამინისტრო თითქოს ყველაზე მეტად უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა შორის ამ სახეობის განვითარებისთვის, მაგრამ მისი წარმომადგენლები ნაკრებში იშვიათად არიან. მათს მწვრთნელებს, რომელთა რიცხვი ოცს აღწევს, ბოლო ორ წელიწადში არც ერთი მაღალკვალიფიციური მოცურავე არ მოუმზადებიათ.

მაზეთ. განათლების სამინისტროს თბილისის საცურაო აუზის რემონტი მეორე წელია გრძელდება. მწვრთნელები სისტემატურად ილებენ ხელფასს. რას გვაძლევს ეს? აუზის რემონტის დამთავრებისთვის არავინ ზრუნავს.

ქუთაისში საცურაო აუზის მშენებლობა მეექვსე წელია ჭიანურდება. ადმინისტრაცია მშენებლობა ნელ-ნელა ზლიან აუზს და... შინისკენ ეზიდებიან.

საჭიროდ მივიჩნია გავიხსენოთ, თუ როგორ მოეწყო თბილისში აუზების მახლობლად მდებარე საშუალო სკოლებში ცურვის სპეციალიზებული გაკვეთილები, მაგრამ ეს კარგი თაოსნობა მალე დაივიწყეს. ახლა ჩვენ გვიკვირს მოძმე რესპუბლიკების მიღწევები ცურვაში, რამიც მათ ამგვარი ფიზკულტურის გაკვეთილები დაეხმარა. ბევრს ჰკითხეთ ჩვენ, ამ თაოსნობის პიონერებს, ორგანიზატორებს.

მაინც, რომელი მოცურავის გამოყოფა შეიძლება საქართველოს მოსწავლეთა დღევანდელი ნაკრებიდან? ესენი არიან: გოგონები ლ. სუინა, ი. პოტაპოვა, ნ. გეოკჩოგლიანი, ნ. გელაძე, გ. მეტრეველი, დ. ხორავა, დ. ვასაძე, ტ. ვეტერი, ჭაბუკები გ. მთვრალაშვილი, ს. სამსონოვი, ა. ბურმისტროვი, ი. კუშპელიოვი, ვ. საი, ი. ომელჩენკო, ა. კოვედუბი, ა. გიორგაძე.

ჩვენი მოცურავეების წინაშე ძალიან ბევრი პრობლემა დგას. ამ პრობლემების შესახებ ჩვენ ალბათ კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს სერიოზული საუბარი.

**ლ. იოაკიმიძე,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს მოცურავეთა უფროსი მწვრთნელი.

### ტექნიკური შედეგები

გოგონები. თავისუფალი სტილი. 100 მ. ლ. სუინა (აფხაზეთი) — 1.05,3, ნ. გელაძე — 1.07,3, გ. მეტრეველი (ორივე — თბილისი) — 1.08,4; 200 მ. ი. პოტაპოვა — 2.24,3, ნ. გეოკჩოგლიანი (ორივე — თბილისი) — 2.28,0, ტ. კოსტირევა (ქუთაისი) — 2.31,4; 400 მ. პოტაპოვა — 4.57,0, გეოკჩოგლიანი — 5.09,2, მეტრეველი — 5.19,0; 800 მ. პოტაპოვა — 9.59,9, გეოკჩოგლიანი — 10.32,3, კოსტირევა — 10.54,3. ბრასი. 100 მ. ნ. გამჯიაშვილი (თბილისი) — 1.23,6, დ. ხორავა (ქუთაისი) — 1.25,0, ე. ვაპიროვა (აჭარა) — 1.27,6; 200 მ. გამჯიაშვილი — 2.57,8, ვაპიროვა — 3.02,1, ხორავა — 3.03,1. გულაღმა. 100 მ. სუინა — 1.13,6, შ. გოზალიანი (თბილისი) — 1.15,5, ტ. ვეტერი (ჭიათურა) — 1.15,9; 200 მ. სუინა — 2.34,3, გოზალიანი — 2.39,9, ვეტერი — 2.43,3. ბატერფლაი. 100 მ. ვ. პროსკურინა — 1.15.6, ლ. ნატროშვილი — 1.16,8, ლ. იმნაძე (ყველა — თბილისი) — 1.17,2; 200 მ. პროსკურინა — 2.46,0, იმნაძე — 2,46,2, ნატროშვილი — 2.56,6. კომპლექსური ცურვა. 200 მ. იმნაძე — 2.47,0, ე. შაგიდულოვა (თბილისი) — 2.58,7, ტ. ონეფრენჩუკი (აჭარა) — 2.51,2; 400 მ. იმნაძე — 5.52,2, ონეფრენჩუკი — 6.00,0, მ. ბილანიშვილი (თბილისი) — 6.03,2. ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით. აფხაზეთი — 4.32,6, თბილისი — 4.38,4, ქუთაისი — 4.55,2. კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ. თბილისი — 5.06,4, აფხაზეთი — 5.21,0, აჭარა — 5.28,1.

ვაჟები. თავისუფალი სტილი. 100 მ. ა. ვეჩხაიზერი — 1.00,2, ჯ. კოველსკი (ორივე — თბილისი) — 1.00,5, ა. გიორგაძე (ქუთაისი) — 1.00,8; 200 მ. ვეჩხაიზერი — 2.08,2, გ. მთვრალაშვილი — 2.10,9, ი. კუშპელიოვი (სამივე — თბილისი) — 2.13,0; 400 მ. კუშპელიოვი — 4.30,7, მთვრალაშვილი — 4.36,6, ვ. საი (თბილისი) — 4.36,6; 1500 მ. კუშპელიოვი — 17.40,0, საი — 17.57,4, მთვრალაშვილი — 18.19,6. ბრასი. 100 მ. ი. ლეკვეიშვილი — 1.15,3, გ. შერმანდინი — 1.15,7, ს. სამსონოვი — (სამივე — თბილისი) — 1.16,0; 200 მ. სამსონოვი — 2.41,0, ლეკვეიშვილი — 2.43,2, ტ. ვართაპეტიანი (თბილისი) — 2.44,7. გულაღმა. 100 მ. ი. ომელჩენკო (აჭარა) — 1.05,3, ვეჩხაიზერი — 1.05,5, ა. კოჟედუბი (ქუთაისი) — 1.10,4; 200 მ. ომელჩენკო — 2.22,4, საი — 2.27,0, კოჟედუბი — 2.27,8. ბატერფლაი. 100 მ. ა. რეზნიკოვი (თბილისი) — 1.04,5, ვ. სტიოგანცევი — 1.04,9, ს. პიატინინი (ორივე — აჭარა) — 1.06,0. კომპლექსური ცურვა. 200 მ. სტიოგანცევი—2.24,3, ა. ბურმისტროვი (აჭარა) — 2.25,6, გ. ნიკოლაიშვილი (თბილისი) — 2.31,0, 400 მ. სტიოგანცევი — 5.05,0, ბურმისტროვი — 5.07,0, შერმანდინი—5.22,6. ესტაფეტა 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით. თბილისი — 4.07,7, აჭარა — 4.11,3, ქუთაისი — 4.13,0. ესტაფეტა 4×200 მ თავისუფალი სტილით. თბილისი — 9.00,3, ქუთაისი — 9.11,0, აჭარა — 9.40,5. კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ. აჭარა — 4.27,7, თბილისი — 4.29,0, აფხაზეთი — 4.48,0.

გუნდური: თბილისი — 1364 ქულა, აჭარა — 447,6, აფხაზეთი — 339,6.

* * *

სურათზე: ჯ. კოველსკი (მარცხნივ) და გ. მთვრალაშვილი.

ა. გურახაშვილის ფოტო.



### ბაზას მოვლა სჭირდება

საჩხერის რაიონში ბევრ სოფელს როდი აქვს ისეთი ფეხბურთის მინდორი, როგორიც სოფელ ჭალაშია. ეს ბაზა, რომლის ფართობიც დაახლოებით ჰექტარს აღწევს, მოთავსებულია მდინარე ყვირილას პირას, ლამაზ ადგილზე, აქვს ბალახის საფარი, მაგრამ პატრონის ხელი აკლია. მინდორი შემორაგულია ფიცრებით, რომელთაგანაც ბევრი დალპა და მწყობრიდან გამოვიდა, რის შედეგადაც ფრინველი და პირუტყვი თავისუფლად დათარეშობს მწვანე მინდორზე. სარბიელის ერთ მხარეს საცოდავად დგას ერთი ბოძი, მეორე მხარეს კი — ორი. ეს არის და ეს...

ბაზის მოვლა შეუძლია აქაურ ახალგაზრდობას, საშუალო სკოლის მოსწავლეებს. სოფლის თავკაცებმა უნდა გამოიყენონ მათი ინიციატივა, მოაწყონ შაბათობები სპორტული ბაზის შესაკეთებლად და სანიმუშოდ აქციონ იგი.

**ა. ანასაშვილი,**
(ჩვენი კორ.).

სოფ. ჭალა,
საჩხერის რაიონი.



# ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ქართულ ჭიდაობაში

ამას წინათ დუშეთის სპორტსკოლის მოედანზე ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ქართულ ჭიდაობაში. დუშეთის რუსული საშუალო სკოლის ჭაბუკ ფრენბურთელთა გუნდმა ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო. II ადგილზე არიან ჟინვალის საშუალო სკოლის ფრენბურთელები, ხოლო III — ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები.

მძლეოსნობაში 965 ქულით I ადგილი წილად ხვდათ მაღაროსკარის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს. II ადგილზე არიან ანანურის (655), ხოლო III — ფასანაურის (645) საშუალო სკოლების მძლეოსნები.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს გ. ქავთარაძემ (ფასანაური), რ. ჯანაშვილმა (მაღაროსკარი), ზ. ფოლოდაშვილმა (დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლა).

ქართულ ჭიდაობაში ყველას აჯობეს დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლის ჭაბუკებმა. მეორე იყო სპორტსკოლის გუნდი, ხოლო მესამე — მჭადიჯვრის საშუალო სკოლის კოლექტივი.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს: ს. როსტიაშვილმა, ა. სინჯარაძემ, გ. ძმიაშვილმა, თ. წიკლაურმა, ჯ. არაქელოვმა (ყველა — დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. პეტრიაშვილმა (ბავშვთა სპორტსკოლა), ზ. მოხევიშვილმა (მჭადიჯვრის საშუალო სკოლა).

**ც. კბილცეცხლაშვილი.**
დუშეთი.

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

15 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა კრასნოდარში წააგეს ადგილობრივ „ყუბანთან“ — 0:3.

სხვა მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:3, „დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 0:2, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 4:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 0:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „პამირი“ (დუშანბე) 0:0.

● ●

II ლიგა III ზონა

16 ივნისს შემდგარი ტურის მატჩები II ლიგის III ზონის გუნდებს შორის ასეთი შედეგებით დამთავრდა: „დინამო“ (ბათუმი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 5:0, „დილა“ (გორი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 1:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „დინამო“ (კიროვაბადი) 2:0, „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1, „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1, „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) — „ურალანი“ (ელისტა) 2:0, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 0:1.

# გამარჯვება მუდამ შეიძლება

**თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 15 ივნისი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0 (2:0).**

**თბილისი:** გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი (მუჯირი), გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ქანთარია, გ. მაჩაიძე (მჭედლიშვილი), წერეთელი.

**მოსკოვი:** პილგუი, ბახალოვი (ტერეხოვი), ნიკულინი, კომაროვი, დოლბონოსოვი, დოლმატოვი, ბაიდაჩნი, პეტრუშინი (პუდიშევი), პავლენკო, გავრილოვი, ევრიუჟიხინი.

**მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო). გაფრთხილებები მიიღეს გ. მაჩაიძემ და ბაიდაჩნიმ.**

როცა სამსაჯო ოთახში ორივე გუნდის წარმომადგენლებმა თამაშის ოქმი შეავსეს, მოსკოველთა უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა საქმაოდ არაორაზროვნად ჩაილაპარაკა: ჰმ... ჰმ...

ეს „ჰმ... ჰმ...“ გამოცდილ სპეციალისტს თბილისის „დინამოს“ შემადგენლობის გაცნობისას აღმოხდა. ვინ-ვინ და კაჩალინი კი კარგად იცნობს ჩვენს გუნდს, იცის თითოეული მოთამაშის ფასი და, რა თქმა უნდა, როცა მოწინააღმდეგის რიგებში ვერ ნახა გოგიას, ხურცილავას, კანთელაძის, გუცაევის, ყიფიანის, რეხვიაშვილის, ესე იგი, ძირითადი შემადგენლობის 50 პროცენტზე მეტის გვარები, მატჩის მოგების პერსპექტივები ალბათ უფრო რეალურ ტონებში წარმოესახა. დაუმატეთ ამას, რომ თვით თამაშის მსვლელობაში, 25-ე წუთზე, ტრავმის გამო მინდორი დატოვა ხინჩაგაშვილმაც...

გადავხედოთ ახლა მოსკოველთა შემადგენლობას. ვინ აკლდა მათ? ფაქტიურად მხოლოდ ცენტრალური თავდამსხმელი კოჟემიაკინი. დანარჩენი ყველა ადგილზე იყო, სათადარიგოთა სიაში კი ისეთი ფეხბურთელების გვარებსაც შევხვდებოდით, როგორიც არიან მახოვიკოვი, კოზლოვი, პუდიშევი.

ერთი სიტყვით, ორი შებრძოლი მხარე მინდორზე გამოვიდა აშკარად უთანაბრო „მატერიალური აღჭურვილობით“. თუ ამას დავუმატებთ იმ კრიზისულ მდგომარეობას, რომელშიც ახლა თბილისის „დინამოა“, მატჩის შედეგის პროგნოზისთვის სულაც არ იყო საჭირო სპეციალური გამომთვლელი მანქანა. ყველაფერი თითქოს ისედაც ცხადი და ნათელი გახლდათ.

მაგრამ გამარჯვება მუდამ შეიძლება, მაშინაც კი, როცა ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ხარ და თითქოს წინასწარვეა გადაწყვეტილი წარმატების ყოველგვარი იმედი. ოღონდ ამისოდ საჭიროა ძალების სრული მობილიზება, მთელი მოხდომებით ბრძოლა, ნამდვილი სპორტული თავგანწირვა, ესე იგი, ყველაფერი ის, რაც გააკეთეს მინდორზე თბილისელმა ფეხბურთელებმა.

შეიძლება ზოგიერთმა ფეხბურთის მოყვარულმა ამ სტრიქონების წაკითხვისას გვისაყვედუროს: ასეა მუდამ — საკავშირო ჩემპიონატში საქმე მეტი რომ არ შეიძლება ისე ცუდად გვაქვს, ცხრილის ბოლოში ვართ, მდგომარეობა კატასტროფულია, მაგრამ საკმარისია ერთი რაღაც წარმატება და ისევ იწყება მოთამაშეთა ქება, მათი მოკრძალებული ღირსებების გაბუქვა, ფერადოვანი სიტყვებით...

არა, ქება რა შუაშია! საქმეარი, კარგად იცით, ჯერ არაფერი გვაქვს, მაგრამ გვინდა ღრმა რწმენა გამოვთქვათ იმისა, რომ ყველაფერი დაკარგული არაა, რომ დროებითი კრიზისი გაივლის და თბილისის „დინამო“ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს მდგომარეობას, კვლავ ირწმუნებს თავის ძალას. რახან მან ასეთი „საავარიო“ შემადგენლობით შეძლო თავისი ყველაზე ძნელი მეტოქის დამარცხება, შემდგომში, როცა მწყობრს დაუბრუნდებიან საუკეთესონი, საქმე თანდათან წინ უნდა წავიდეს.

სარედაქციო წერილი თასის გათამაშების მატჩს ეხება, ჩვენი ფიქრები კი ისევ და ისევ ჩემპიონატს დასტრიალებს, რომლის უახლოეს პერიოდში (დღევანდელი მატჩი ლვოვში და შემდეგ სამი შეხვედრა შინ „შახტიორთან“, „ნისტრუსთან“ და „დნეპრთან“) ბევრი რამ წყდება, თითქმის „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი.

მოსკოვის „დინამოსთან“ თამაშში თბილისელებს არა ჰქონიათ რომელიმე სუსტი რგოლი, მინდორზე არ იყო მოთამაშე, რომელიც საყვედურს იმსახურებდეს მოუნდომებელი, ინერტული თამაშისთვის. საიმედოდ მოქმედებდა დაცვა, სადაც მთავარი როლი შეასრულა ჰელიძემ, თავისი უშუალო მეტოქის — ევრიუჟიხინის ნეიტრალიზების გარდა ზომიერად, სასარგებლოდ ითამაშა ძოძუაშვილმა, ხოლო მუჯირმა კარგად შეავსო დაშავებული ხინჩაგაშვილის ადგილი. ნახევარდაცვაში საუკეთესო იყო ასათიანი, წინა ხაზზე — წერეთელი. გაამართლა იმედი ახალგაზრდა ქანთარიამ.

მოსკოველებმა ყველაფერი სცადეს, რომ თავიდანვე შეექმნათ გამარჯვების გარანტია, მაგრამ მასპინძელთა ორგანიზებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ, შემდეგ კი თბილისელებმა თანდათან გააძლიერეს თამაში და 32-ე წუთზე ქანთარიამ ასათიანისგან მიღებული ბურთი თავს ზემოთ ზუსტად გადაუგდო კარიდან წინდაუხედავად გამოსულ პილგუის — 1:0.

გავიდა ცოტა ხანი, წერეთელმა მარცხენა ფლანგიდან მიაწოდა საჯარიმო კარის წინ, სადაც ადგილზე აღმოჩნდა მ. მაჩაიძე — 2:0.

სტუმრების კონტრშეტევებიდან აღსანიშნავია ის მომენტი, როცა პუდიშევმა ძელს მოახვედრა ბურთი, თბილისელებს კი ანგარიშის გაზრდის არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ. თასის ორი მატჩის ჯამში კიდევ ერთი გოლი დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს გუნდს, მისი გატანა კი შეიძლებოდა.

**რ. ქორიძე.**

* * *

თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოვიდა ახალგაზრდა თავდამსხმელი უ. ქანთარია, რომელმაც კარგი თამაშით გამოიჩინა თავი და გოლიც გაიტანა.



**სურათზე:** უ. ქანთარია (№ 9) შეტევის დროს.

**მ. ზარგარიანის ფოტო.**

სსრ კავშირის თასზე

# მეოთხედფინალი: პირველი მატჩები

15 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის პირველი მატჩები.

მოსკოვის სპარტაკელებმა თავიანთ მინდორზე ვერაფერი გააწყვეს ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“. პირიქით, სპარტაკელთა მეკარე პროხოროვმა არაერთხელ იხსნა თავისი გუნდი ხიფათისგან. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

5 გოლი გავიდა დნეპროპეტროვსკში ადგილობრივი „დნეპრის“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრაში. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა (ევსეენკო), მაგრამ კოვალიოვმა, ბლოხინმა და მუნტიანმა დააწინაურეს „დინამო“. 89-ე წუთზე კიეველთა კარში დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა ნაიდამ. კიეველებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 3:2.

ერევნის „არარატმა“ შინ დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა დონეცკის „შახტიორი“ — 2:1. სტუმრებმა დასაწყისში დაცვითს ტაქტიკას მიმართეს და მხოლოდ მას შემდეგ ამოქმედდნენ, რაც ანდრეასიანმა საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. დუდინსკიმ გაქვითა კიდეც გოლი. ფინალურ სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მარქაროვის ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „არარატს“.

მეოთხედფინალის განმეორებითი შეხვედრები შედგება 21 ივნისს.

# მინდორზე არიან ვეტერანები

მოსკოვში დამთავრდა დედაქალაქის ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ „სპარტაკი“, პროფკავშირების ნაკრები, ცსკა და „დინამო“.

აღსანიშნავია ტურნირის მაღალი სპორტული დონე. მატჩები მიმდინარეობდა საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში. 16 ივნისს გაიმართა ფინალური მატჩი, რომლის მონაწილენი იყვნენ „სპარტაკი“ და პროფკავშირების ნაკრები. სპარტაკელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 4:1.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ვორონინმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ვეტერანთა ტურნირი ტრადიციად უნდა იქცეს და მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო მოსკოვის, არამედ სხვა ქალაქების წარმომადგენლებმაც.

* * *

გასულ კვირას თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა საინტერესო საქალაქთაშორისო მატჩი კიევისა და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა მონაწილეობით.

კიეველებმა ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჩამოიყვანეს. საკმარისია ჩამოვთვალოთ ბიბას, ხმელნიცკის, მედვიდის, ოსტროვსკის, ტროიანოვსკის, ლევჩენკოს, შჩეგოლკოვისა და სხვათა სახელები. თბილისის გუნდშიც წარსულში შესანიშნავი მოთამაშეები გამოდიოდნენ: მეტრეველი, ბარქაია, ს. კოტრიკაძე, კალოევი, დათუნაშვილი, ბ. სიჭინავა, თორაძე და სხვ.

პირველი ბურთი 29-ე წუთზე გაიტანა დათუნაშვილმა. სტუმრებმა შესვენების შემდეგ შეძლეს ანგარიშის გაქვითვა. გოლი გაიტანა ხმელნიცკიმ — 1:1.

# თასი — სამუდამოდ

გაზეთ „წინსვლის“ თასის გათამაშების ფინალში თერჯოლის რაიონის რვაწლიანი სკოლების ფეხბურთელთა გუნდებს შორის ერთმანეთს შეხვდნენ გოდოგნისა და ახალი თერჯოლის წარმომადგენლები.

ახალთერჯოლელებმა მონდომებით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ვინაიდან ამ გუნდმა ზემოაღნიშნული თასი მესამედ მოიპოვა, პრიზი მას სამუდამოდ გადაეცა.

აქვე გაიმართა საშუალო სკოლების ფეხბურთელთა კოლექტივების შეჯიბრება სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. მარღანიას ხსოვნის თასზე. გამარჯვება წილად ხვდა თერჯოლის საშუალო სკოლის გუნდს.

**ა. ჩარექიშვილი,**
**თერჯოლის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# სად ივარჯიშოს „განთიადმა“?

**თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 16 ივნისი.**

**„განთიადი“ (თბილისი) — „ფილი“ (მოსკოვი) 6:12 (3:0).**

**„განთიადი“:** ურუშაძე, თუშიშვილი, სანებლიძე, რეხვიაშვილი, მამულაშვილი, თოფურია, ირაკლი ნაცვლიშვილი, ანდღულაძე, კიზირია, აბაშიძე, ნიჟარაძე, მენაბდე, იუზა ნაცვლიშვილი, გვალია, ჯოხაძე.

**„ფილი“:** კიიამოვი, კაპიტონოვი, კუდრიაშოვი, ლარინი, ლიხაჩოვი (იურიევი), ნეჩაევი, ფიოდოროვი (დროჟინი), გავრილოვი, ივაშოვი, კაჩანოვი, სალავატოვი, მირონოვი, კულებიაკინი, გრაჟდანი, იხიანოვი.

**მსაჯი ა. ფრიდმანი (რიგა).**

სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონს „ფილის“ წლევანდელ ტურნირში ჯერჯერობით არც ერთი ქულა არ დაუკარგავს, თუმცა ორჯერ წაგების ზღურბლზე იდგა და ორივეჯერ გამარჯვება ბოლო წუთზე მოიპოვა. პირველ ტურში საკავშირო პირველობის დებიუტანტთან — მოსკოვის „ლოკომოტივთან“ აგებდა (13:17), მაგრამ გრაჟდანისა და მირონოვის ორი შედეგიანი რეიდის წყალობით მატჩის ჩარხი თავის სასარგებლოდ შეატრიალა — 21:17.

გუშინწინ კი თბილისში „განთიადი“ მე-5 წუთზე აბაშიძის მიერ თითქმის ცენტრიდან ზუსტად დარტყმული საჯარიმოს წყალობით დაწინაურდა — 3:0.

მიუხედავად ამისა, თბილისელების თამაშში იგრძნობოდა ბევრი ხარვეზი, განსაკუთრებით, დაცვაში და ბურთის ტარების ან გვერდითს ხაზს იქით მოგერიების დროს. „განთიადის“ რეგბისტები ძალიან იშვიათად მიმართავდნენ მარაოს, მათ რატომღაც ალღო ვერ აუღეს მეტოქის შეცდომებს, რაც არც ისე იშვიათი იყო.

შესვენების მერე თბილისელებს დაღლა დაეტყოთ. გადაცემების სიზუსტე, დარტყმების სიძლიერე დაიკარგა, ხარვეზებმა იმატა დაცვაში. სტუმრებმა ეს კარგად იგრძნეს და შუა ტაიმიდან ტემპს უმატეს, მე-60 წუთზე კი ივაშოვმა ახლოდან საჯარიმო დარტყმით წონასწორობა აღადგინა.

ხამიოდე წუთის შემდეგ „განთიადი“ ისევ დაწინაურდა: „ფილი“ დაჯარიმდა, აბაშიძემ 50-მეტრიდან იშვიათი სიზუსტით, ძლიერად დაარტყა და ბურთმა მეტოქის ძელებს შუა გაიარა — 6:3. მასპინძლებმა ეს უპირატესობა მხოლოდ 4 წუთს შეინარჩუნეს: იმავე ივაშოვმა ისევ ახლოდან დარტყმული საჯარიმოთი საპასუხო გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ „ფილი“ ინიციატივას მთლიანად დაეუფლა, „განთიადის“ დაცვა მოიშალა, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონმა გამარჯვება მხოლოდ ბოლო წუთზე მოიპოვა: ბურთი ჯერ „განთიადის“ ჩათვლის მოედანზე დადო და მერე რეალიზაციაც ზუსტად გამოიყენა.

რაშია საქმე? რატომ აგებს „განთიადი“ შეხვედრებს? კოლექტივს, რომელშიც ძალიან ბევრი ახალბედა მოთამაშეა, სათანადო ხელშეწყობა არ აქვს! რეგბისტებს საწვრთნელი ბაზა არ გააჩნიათ, ისიც არ იციან, შინ მორიგ კალენდარულ მატჩს რომელ სტადიონზე გამართავენ. ბაზის უქონლობა წვრთნას საგრძნობლად აფერხებს. საკავშირო ჩემპიონატში მებრძოლი გუნდის ასე ლვთის ანაბარა მიტოვება არ შეიძლება.

**ჭ. ჭიმისტარიშვილი.**

თბილისის „ლოკომოტივი“ მოსკოვში ადგილობრივ თანაკლუბელებს ხვდებოდა. თბილისელები დედაქალაქს თავიანთი ლიდერისა და მწვრთნელის ზ. ყარშილაძის გარეშე ეწვივნენ (იგი გასულ კვირას გაგარინელებთან შეხვედრაში დაშავდა). პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ მასპინძლები გაცილებით უკეთესად თამაშობდნენ და გაიმარჯვეს — 17:0.

ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ მოსკოვის „ავტომობილისტს“ მასპინძლობდა. შესანიშნავად ითამაშა შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა, „ბურევესტნიკის“ მთავარმა ბომბარდირმა რუმიანცევმა, რომელმაც გუნდს 11 ქულა შესძინა და ახლა 28 ქულით წლევანდელი საკავშირო პირველობის პირველ ბომბარდირად ითვლება. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 15:3 (3:0).

მოსკოვის ახლოს, მონინოს სტადიონზე, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს შეხვდა და დამარცხდა — 6:7 (3:3).

● ●

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 18 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხაიი | 3 | 3 | 0 | 0 | 51:13 | 6 |
| „ფილი“ | 3 | 3 | 0 | 0 | 52:26 | 6 |
| „ბურევესტნიკი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 52:26 | 4 |
| სხა | 3 | 2 | 0 | 1 | 16:10 | 4 |
| „ლოკომოტ.“ (მ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 46:37 | 2 |
| „ავტომობილისტი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 22:33 | 2 |
| „განთიადი“ | 3 | 0 | 0 | 3 | 13:67 | 0 |
| „ლოკომ.“ (თბ.) | 3 | 0 | 0 | 3 | 4:44 | 0 |

**13/VI — 7/VII**

# WM-74

## ყველაზე საინტერესო...

15 ივნისი. შტუტგარტი. „ნეკარშტადიონი". 45 ათასი მაყურებელი. პოლონეთი — არგენტინა 3:2 (2:0).

**პოლონეთი:** ტომაშევსკი, შიმანოვსკი, გორგონი, ჟმუდა, მუსიალი, მაშჩიკი, კასპერჩაკი, დეინა, გადოხა (ჩმიკევიჩი), ლიატო, შარმახი (დომარსკი).

**არგენტინა:** კარნევალი, ვოლფი, პერფიუმო, ბაბინგტონი, სა, ერედია, ბარგასი (ტელხი), ბალბუენა, ბრინდიზი, კემპესი (ჰაუსმანი), აიალა.

გაფრთხილებულია ბაბინგტონი.

მსაჯი კლივ თომასი (უელსი).

ეს იყო წლევანდელ ჩემპიონატში ჯერჯერობით ყველაზე უხვგოლიანი და ალბათ ყველაზე საინტერესო მატჩი.

შეხვედრა პოლონელთა თავბრუდამხვევი იერიშებით დაიწყო და მე-10 წუთისთვის ანგარიში უკვე 2:0 იყო მათს სასარგებლოდ. პირველი გოლი გაიტანა ლიატომ, რომელმაც მთელი შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარა. შემდეგ შარმახმა მეორედ აიღო კარნევალის კარი.

პოლონეთის ნაკრებს შესვენებამდე კიდევ ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შანსი, მაგრამ ისინი ვერ გამოიყენა.

61-ე წუთზე ერედიამ შესანიშნავი დარტყმით გაქვითა ერთი ბურთი, მაგრამ 2 წუთიც არ გასულა და ლიატომ კვლავ გაზარდა სხვაობა ანგარიშში.

67-ე წუთზე პოლონელთა კართან არეულობა შეიქმნა. რამდენიმე დარტყმა მოიგერიეს ხან მეკარე ტომაშევსკიმ, ხან — ძელმა, ხანაც — მცველებმა... მაგრამ ბაბინგტონმა მაინც შეძლო გოლის გატანა და მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. ამის შემდეგ უპირატესობას არგენტინელები ფლობდნენ, მაგრამ პოლონელები თავს კარგად იცავდნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

## შვეცია — ბულგარეთი 0:0

დიუსელდორფში გამართულმა შეხვედრამ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ორივე გუნდმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა მეტოქის კართან, მაგრამ გოლი არც ერთს არ მოჰყოლია.

## ჰოლანდია — ურუგვაი 2:0

ჰანოვერში ჰოლანდიელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს თავიანთი პირველი მატჩი ამ ჩემპიონატში. ისინი ლამაზად, შეტევი სტილით თამაშობდნენ და გაიმარჯვეს კიდეც. მე-9 წუთზე მათმა თავდამსხმელმა რეპმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა, 87-ე წუთზე კი მანვე მეორედ აიღო ურუგვაელთა კარი.

ჰოლანდიელებს კიდევ ჰქონდათ გოლის გატანის ბევრი შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ურუგვაელები ძალიან უხეშად თამაშობდნენ: სამმა ფეხბურთელმა გაფრთხილება მიიღო, კასტილო კი მინდვრიდან გააძევეს.

## ჰაიტი — იტალია 1:3

იტალიელთა იოლ გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ პროგნოზები, როგორც ეს ხშირად ხდება, არ გამართლდა. მიუნხენის სტადიონზე მოსულ მაყურებელთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეორე ტაიმის პირველივე წუთზე ჰაიტელმა სანონმა ბურთი გაიტანა იტალიელთა კარში. ამ გოლმა შეაჩერა მეკარე ძოფის „შეუფერხებელი" წინსვლა. როგორც ცნობილია, ძოფს „მსოფლიო რეკორდი" ეკუთვნის — მას 12 მატჩში, რომელსაც საანგარიშო შეხვედრის პირველი ტაიმიც უნდა დაემატოს, ესე იგი, 1142 წუთის მანძილზე თავის კარში გოლი არ გაუშვია.

ბოლოს გამოცდილებამ და უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ მაინც თავისი გაიტანა: იტალიელებმა რივერამ, ბენეტიმ და ანასტაზიმ 3 გოლი გაიტანეს ფრანსილონის კარში და გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს.

• • •

პირველი ტურის შემდეგ გამოვლინდნენ ლიდერები ჯგუფებში. ესენი არიან: გდრ და გფრ (I ჯგუფი), შოტლანდია (II ჯგუფი), ჰოლანდია (III ჯგუფი), პოლონეთი და იტალია (IV ჯგუფი).

მიმომხილველები აღნიშნავენ ევროპის ფეხბურთელთა უპირატესობას სამხრეთამერიკელებთან შედარებით: განვლილ მატჩებში მხოლოდ ბრაზილიელებმა შეძლეს იუგოსლავიის ნაკრებთან ქულების გაყოფა, სამხრეთ ამერიკის დანარჩენი გუნდები კი დამარცხდნენ. იმასაც აღნიშნავენ, რომ ოკეანისგაღმელი სტუმრები ცდილობენ ოსტატობის ნაკლებობა უხეშობით აანაზღაურონ. ჩემპიონატის პირველ ტურში ორი მოთამაშე (ჩილიელი და ურუგვაელი) გააძევეს, 15 ფეხბურთელს კი გაფრთხილება მიეცა (მათგან უმეტესობა სამხრეთამერიკელია).

გამოვლინდნენ ბომბარდირთა ლიდერებიც: ლიატო (პოლონეთი) და რეპი (ჰოლანდია) — 2-2 გოლი.

# რას ამბობენ, რას წერენ...

პირველი მატჩის (ბრაზილია — იუგოსლავია) შესახებ:

**მ. ზაგალო** (ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი): „მე წინასწარ ვგრძნობდი, რომ პირველი თამაში არ გამოგვივიდოდა. ფეხბურთში ყველაზე რთულ ამბებს მოთამაშეები მხოლოდ მაშინ აგვარებენ, როცა ნათელი გონება და განსჯის უნარი აქვთ. იმ დღეს კი ჩვენი მოწინავე ფეხბურთელებიც ვერ აზროვნებდნენ".

**მ. მილიანიჩი** (იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი): „ამ ფრემ ორივე მხარე უნდა დააკმაყოფილოს".

**ჰ. შიონი** (გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი): „ბრაზილიის ამ გუნდის დამარცხება შეიძლება".

**ა. დი სტეფანო:** „ბრაზილიის ნაკრები ასეთი სუსტი არასდროს ყოფილა".

**ჯ. რივერა** (იტალიის ნაკრების წევრი): „სველი და სრიალა მინდორი პირდაპირ შხამია სამხრეთამერიკული ფეხბურთის სტილისთვის. მეორე ტაიმში იუგოსლავიელებს აღარ ეტყობოდათ მოწიწება მსოფლიო ჩემპიონთა მიმართ. ისინი ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან".

**ფ. ბეკენბაუერი** (გფრ-ის ნაკრების კაპიტანი): „ამ თამაშში გამარჯვება მხოლოდ იუგოსლავიელებს შეეძლოთ".

**მაინის ფრანკფურტის გაზეთები:** „ჩემპიონატის დრამატული სტარტი", „ეს იყო ომი!", „ბრაზილიის ნაკრებმა იმედი გაგვიცრუა".

**ხ. ლოპესი** (ურუგვაის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ტელეკომენტატორი): „ამ ჩემპიონატში გუნდის მიზანი იქნება არა მოგება, არამედ წაგებისგან თავის დახსნა".

მეორე დღის მატჩების შესახებ:

**დასავლეთ გერმანიის რადიოს კომენტატორი:** „ჩვენ ვამთავრებთ რეპორტაჟს იმ იმედით, რომ კიდევ ვნახავთ ამ შეხვედრაზე (ჩილი — გფრ 0:1. — რედ.) უკეთეს მატჩებს".

**ნოიბერბერი** (ჩემპიონატის გფრ-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე): „ჩვენი გუნდის თამაშმა გაგვაწბილა".

**ჰ. შიონი:** „ასეთი მინიმალური ანგარიშით კმაყოფილი ვარ. რამდენიმე გოლის უპირატესობით იოლ გამარჯვებას შესაძლოა უარყოფითად ემოქმედა ჩვენი მოთამაშეების მობილიზებაზე. ამ შეხვედრის შემდეგ უკვე აღარ დამჭირდება იმის მტკიცება, თუ რარიგ მნიშვნელოვანია ნებისმიერ მეტოქესთან თამაშისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ისიც უნდა ითქვას, რომ მატჩის ბოლოს ისე დაცხა, ჩვენი ფეხბურთელები ძლივსღა სუნთქავდნენ. ჩილიელები კი შეჩვეული არიან ასეთ სიცხეს".

**„ნოიე რაინ-ცაიტუნგი":** „გაწბილების 90 წუთი".

**„დი ველტი":** „რესპუბლიკა ზაირის გუნდმა გაგვაოცა მსოფლიო ჩემპიონატში თავისი პირველი გამოსვლით. შოტლანდიელებმა აფრიკელებს დიდი გაჭირვებით მოუგეს ანგარიშით 2:0... აფრიკელებმა დაამტკიცეს, რომ არ აპირებენ მოსწავლეთა როლის შესრულებას. ცოტა ბედიც რომ ჰქონოდა, ზაირის ნაკრებს თავისუფლად შეეძლო გოლის გატანა".

მესამე დღის მატჩის (პოლონეთი — არგენტინა) შესახებ:

**კ. გურსკი** (პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი): „ჩვენ გავიმარჯვეთ იმის წყალობით, რომ შევძელით თამაშის გეგმის განხორციელება. ყოველ ხელსაყრელ მომენტს შეტევისთვის ვიყენებდით".

**ვ. კაპი** (არგენტინის ნაკრების მწვრთნელი): „მატჩის ასეთ შედეგს არ მოველოდი. პოლონეთის გუნდი ჩინებულად თამაშობდა".

ტერი ბაშელი „მორნინგ სტარი" (ლონდონი). 8 ივნისი.

# გუნდს დიდი გამოცდა მოელის

მეორე ეტაპზე გასასვლელად შოტლანდიამ უნდა დაამარცხოს ბრაზილია და იუგოსლავია, შესაძლოა ორივეც, თუ ზაირს ვერ მოუგო. ეს რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტის ძალა შოტლანდიელებს შეიძლება არც შესწევდეთ.

კარგა ხნის მანძილზე გუნდში ვერ შეიქმნა შეთანხმებული, შეთამაშებული კოლექტივი. გარდა ამისა, დაშავებული იყო გიგანტი ცენტრალური მცველი ჯიმ ჰოლტონი. მაგრამ ამას წინათ, როგორც იქნა, შოტლანდიელებმა ოსლოში შეძლეს მასპინძლების, ნორვეგიელების დამარცხება — 2:1. გამარჯვება მათ ჯორდანისა და დალგლიშის გოლების წყალობით მოიპოვეს.




გუნდი გფრ-ში 7 ივნისს გაფრინდა და შინ ალბათ ორი კვირის შემდეგ დაბრუნდება, როცა 22 ივნისს ფრანკფურტში შეხვდება იუგოსლავიელებს.

შოტლანდიის გუნდს მუდამ ჰყავს მსოფლიო მასშტაბის რამდენიმე ფეხბურთელი, მაგრამ იგი დიდი წარმატებებით მაინც ვერ დაიკვეხნის. საერთაშორისო შეჯიბრებებში ნაკრების წარმატებებს ამუხრუჭებენ ფეხბურთის ეროვნულ ასოციაციაში შემავალი უკონინარი ადამიანები, რომლებიც გუნდს უკაპიკო მილიონერის როლში ტოვებენ.

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია დღესაც, მართალია, ნაკლები დაჟინებით, მაგრამ მაინც მოითხოვს ცხრაკაციანი კომიტეტის დარჩენას, რომელიც უფროს მწვრთნელს „ეხმარება" გუნდის შედგენაში. ტომი დოჰერთიმ უარი თქვა გუნდის ხელმძღვანელობაზე, სანამ სრულ თავისუფლებას არ მისცემდნენ და შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო.

მაგრამ დოჰერთიმ საქმე ნაკრებში ძალისმიერ მოთამაშეთა შეყვანით გააფუჭა. თუმცა, მან ეროვნულ გუნდში რაღაც ახალი ენთუზიაზმიც შეიტანა, რომელიც გაქრა მას შემდეგ, რაც დოჰერთიმ ნაკრები დატოვა და „მანჩესტერ იუნაიტედს" გაუძღვა მეორე ლიგაში.

გუნდისთვის ამ მორალური სულისკვეთების დაბრუნება ახალი მწვრთნელის ვილი ორმონდის უპირველესი ამოცანა იყო. ამას რამდენიმე თვე დასჭირდა. შარშანდელი წლის დასაწყისში ვერავინ იტყოდა, რომ შოტლანდია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გავიდოდა.

გლაზგოში ინგლისის გუნდთან მატჩში ორმონდმა მინდორზე დოჰერთის ჩამოყალიბებული გუნდი გამოიყვანა და შედეგი სავალალო იყო — 0:5. დაცვა საზიზღრად თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ მაშინდელი შემადგენლობიდან დღეს უკვე აღარ გამოდიან მეკარე, ორი მცველი და სამი ნახევარმცველი.

შარშანდელი სეზონის დასაწყისი ორმონდმა თითქმის მთლიანად ინგლისში გაატარა, სადაც შოტლანდიელ ფეხბურთელებს ადევნებდა თვალს. მან ნაკრებში დააბრუნა დენის ლოუ. ლოუს ეროვნულ გუნდში ორ წელიწადზე მეტი არ უთამაშია. ზაფხულში მას თავისმა კლუბმაც, „მანჩესტერ იუნაიტედმაც" კი უღალატა: „მანჩესტერ სიტის" მიჰყიდა ვეტერანი ფეხბურთელი.

ლოუ იყო გმირი ჩეხოსლოვაკიელებთან ჩატარებული მატჩისა, რომლის მოგების შემთხვევაშიც შოტლანდიელები ფინალის საგზურს მიიღებდნენ. ჩეხოსლოვაკიელებმა თავიანთი მოწინავე ნახევარმცველი კუნა დაკარგეს და წააგეს — 1:2.

გუნდის ლიდერია მისი კაპიტანი ბრემნერი. იგი ძალიან ოსტატური, გონებამახვილური ფეხბურთელია და შეუძლია მეტოქეს ბევრი უსიამოვნება მიაყენოს.

მის გვერდით თამაშობს მეორე ძლიერი ფეხბურთელი დევიდ ჰეი, აშ ორს უკან კი — ზობა ჰოლტონი, რომელიც თუმცა ზოგჯერ საშინელ შეცდომებს უშვებს, მაგრამ გუნდისთვის საჭიროა. მას შემდეგ, რაც დაცვას დაემატა უაღრესად ჭკვიანი და დახვეწილი ოსტატობის მქონე ჯორჯ კონელი (იგი ჰოლტონის შეცდომებს ასწორებს ხოლმე), ეს რგოლი ბევრად უფრო ძლიერად თამაშობს, ვიდრე მრავალი წლის მანძილზე.

კიდევ ერთი ძლიერი მცველია დენი მაკგრეინი, რომელიც შეძლებისდაგვარად შეტევაშიც მონაწილეობს. კარს დამაჯერებლად და კარგად იცავს დევიდ ჰარვეი.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ შოტლანდიის გუნდს მაინც აკლია ის, რაც აუცილებელია ბრაზილიის ან იუგოსლავიის დამარცხებისთვის.

• • •

### გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: ჰარვეი („ლიდს იუნაიტედი"), ჯარდინი („გლაზგო რეინჯერსი"), მაკგრეინი („სელტიკი"), ბრემნერი („ლიდს იუნაიტედი"), ჰოლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ბუჩენი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ჯონსტონი („სელტიკი"), ლორიმერი („ლიდს იუნაიტედი"), ჯორდანი („ლიდს იუნაიტედი"), ჰეი („სელტიკი"), ჰატჩისონი („კოვენტრი სიტი").

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარეები: ალანი („დანდი"), სტიუარტი („კილმარნოკი"); მცველები: შედლერი („ჰიბერნიენი"), დონაჩი („მანჩესტერ სიტი"), ბლეკლი („ჰიბერნიენი"), მაკკუინი („ლიდს იუნაიტედი"); ნახევარმცველი კორმაკი („ლივერპული"); თავდამსხმელები: მორგანი („მანჩესტერ იუნაიტედი"), დალგლიში („სელტიკი"), ლოუ („მანჩესტერ სიტი"), ფორდი („ჰართოვ მიდლოტიენი").

## კ. ბიბილური



გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის თანამშრომელი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, სკკპ წევრი 1938 წლიდან, პერსონალური პენსიონერი კონსტანტინე აბრამის ძე ბიბილური.

კ. ბიბილური დაიბადა 1907 წლის 23 ივლისს ხელოსნის ოჯახში. 1927 წელს დაამთავრა თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა და მთიელ ბავშვთა სახლში ფიზაღზრდის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

1928-1932 წლებში კ. ბიბილური მუშაობდა მცხეთის რაიონში სხვადასხვა დროს ფიზაღზრდის მასწავლებლად, კომკავშირის რაიკომის სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილების გამგედ, რაიონის განათლების განყოფილების ფიზაღზრდის ინსპექტორად და რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ. მუყაითი შრომისთვის იგი საკავშირო სპორტკომიტეტის სიგელით დააჯილდოვეს. შემდეგ კ. ბიბილური თბილისში გადმოიყვანეს და ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების ფიზაღზრდის ინსპექტორად დანიშნეს.

1935-1937 წლებში კ. ბიბილური თბილისის უნივერსიტეტში ფიზკულტურის ფაკულტეტზე ტანვარჯიშის უფროსი მასწავლებელია. 1937-1941 წლებში მას ვხედავთ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჯერ ტანვარჯიშის კათედრის უფროს მასწავლებლად, მერე — კათედრის გამგედ. 1941 წელს კ. ბიბილური საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორად დაინიშნა.

კ. ბიბილური დიდი სამამულო ომის მონაწილეა, მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

1947 წელს კ. ბიბილურმა დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, რომელშიც ომამდე სწავლობდა. იმავე წელს იგი საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორის პოსტს დაუბრუნდა.

ბოლო 16 წლის მანძილზე კ. ბიბილური მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი ოსტატობის რესპუბლიკურ-სპორტულ სკოლაში.

კ. ბიბილური იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი, მუყაითი, საქმის ერთგული, ახალგაზრდობის მეგობარი და მზრუნველი აღმზრდელი.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილება;**
**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლა;**
**თბილისის სპორტკომიტეტი.**

რედაქტორი გ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 86448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02615